შაბათი, 13 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი—№ 224

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—75 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ღირს 3 მან.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდ წერილებს და მოთხრობებს. წერილობით პასუხისათვის საჭიროა გამოგზავნონ საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდ-ნ ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლისათვის ტფილისიდან ტფილისს გარე ღირს 1 მან., ხოლო ტფილისს გარეთიდან სხვა რომელიმე ქალაქში—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ღირს 5 კაპ.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

შაბათს, 13 ღვინობისთვეს, გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაბა ხაშურში, რკინის გზის ეკკლესიაში,

## მატრონა მალხაზის ასულის ბოკერიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **დ ვით სვიმონის ძე ბოკერია**, დედა **როდამ ამაშუკელის ქვრივი**, შვილები **ანნა ქავთარაძისა, ეკატერინე გურგენიძისა** და სიძე შტაბს-კაპიტანი **ივანე თეიმურაზის ძე ქავთარაძე.** (1—ფ.—1)

კვირას, 14 ოქტომბერს, კუკიის წმ. ნინოს მართლმადიდებელთა სასაფლაოზე გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

## ანნა მათეს ასულის ჩაჩიბაიას

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის გულდამწვარი **დედა, მამა, ძმა** და **და** აუწყებენ ნათესავთ და **ნაცნობებს.** (2—უ—1)

**ამხანაგები** ტრაგიკულად გარდაცვალებულის (გაზ. „სინათლის“ ყოფილი რედაქტორი)

## არშაკ სოლომონის ძე ვარნაზიანცისა

(ცაფცას ზანგი)

ნაცნობებს სთხოვენ, მობძანდნენ ცხედრის გამოსვენებაზე 14 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, სურფ ნიშანის ქუჩაზე ჯავახოვის სახლი № 4, საიდანაც მიცვალებულს გამოასვენებენ თანდოევის ეკკლესიიდან, ხოლო—დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. (2—უ.—)

მწუხარებით აღსავსე **ეკატერინე, ელისაბედ და გრიკორ ვარნაზიანცები, ნინა სოლომონის ასული და გიორგი იაკობის ძე ციციკიანი,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად სიკვდილს პირველნი ძმის, ხოლო უკანასკნელი ცოლის ძმის

## არშაკ სოლომონის ძე ვარნაზიანცისას.

ცხედარს გამოასვენებენ 14 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, სურფ-ნიშანის ქუჩიდან სახლი ჯავახოვის. № 4 თანდოევის ეკკლესიაში, დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. (2—უ.—1)

დაიბეჭდა ვასასყიდად მრავალის ნახატით დასურათებული კრებული

(300 გვერდზე მეტია)



**გამოცემა** (მაშო სალარიძის დახმ.) ამხ. **„კალმისა“**, რედაქცია **„მიწისა“**. ფასი ათი შაური. გამოვიდა აგრეთვე ლია დასურათებული ბარათები (ОТКРЫТКИ) ცალი 3 კაპ. **შემოსავლის 25% გადადებულია ილიას ფონდისათვის.** უმთავრესი საწყობი ამხ. გამგესთან, გ—გი სალარიძესთან, ტფილისში, ვერის დაღმართზე № 15 (3—6—2)

კახური ღვინით ვაჭრობა

## „ზირსა“

ახლად მივიღეთ დიდ ძ ლი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

**ტფილისში.** (50—262—13)

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეტი**

### მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—22)

ექიმი

### მ. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

### ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი

### მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

მქიმი

### ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**კბილის ექიმი**

### ს. გ. რომანიშვილი

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.

მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—21)

კბილის ექიმი

### ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ქ. ქუთაისში

### ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—9)

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—198)

## ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი **„სიმპატია“** და **„ინტელიგენტი“**, რომელიც წმინდა „გრაინცის“ საუკეთესო პლანტაციების სუნელოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუმჯობესებული.

(10—კვ—5) პატივისცემით **მმ. ფირალოვები.**

**დოქტორი მედიცინისა**

### გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გადავიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო საზ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5 7 საათამდე. (25—355—2)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

## წინამძღოლი

იწვევს ამომრჩეველთ, რომელთაც უფლეთა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ტფილისის გუბერნიიდან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევაში, მობრძანდნენ თოთხმეტ ამა ოქტომბერს, ნაშუადღევის 12 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში **საარჩევნო კრებ. ზე.** (2—ნ.—)

ცნობილი

## ქალთა სამკერვალო

„SALON MODES“

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალის ტანისამოსს**, იყვანს მოწაფეებს და ასწავლის კრა-კერვას და ქარგვას.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

**გამგედ სამკერვალოისა არიან:** უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—ნ.—21)

## ვასწავლი

**ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.** პრაქტიკა და თეორია. ვაძლევ აგრეთვე **სპარსულ ენის** გაკვეთილებს.

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 69, ბინა 4. იქვე პირველ დაწყებითი გაკვეთილები მუსიკისა. (3—354—2)

**წყნეთის** ქუჩაზე დავკარგე ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების საკვიტანციო წიგნი № 10. მპოვნელს ვთხოვ წარმოადგინოს „ისრის“ რედაქციაში. (2—უ.—2)

**პეტრე დავითის ძე დიმიტრაშვილი** და მეუღლე **ეკატერინა ილარიონის** ასული დიდს მადლობას ვუძღვნით მეორე გიმნაზიის მასწავლებელთ, მოწაფეთ და იმ კერძო პირთ, რომელთაც პატივი სცეს თავის მობრძანებით მერვე კლასის მოწაფეს, ჩვენ შვილს პავლუშას. (1357—1)

## ტფილისი, 13 ოქტომბერი.

„ჩვენ, ყველა გაჭირვებული მცხოვრებნი, მივმართავთ იმ კეთილ მომქმედ დაწესებულებას, რომელიც ჩვენებრ **დამშეულ ხალხს** უწევს შემწეობას, ყურადღება მოგვაქციონ ჩვენც და აგვაცდინონ მომავალი **დიდი განსაცდელით**“,—ასე ლაკონიურად იუწყებიან თავის გასაჭირს გორის მაზრის სოფელ მეტეხის მცხოვრებნი.

გესმით, მკითხველო, რა ღრმა სევდა და ნაღველია ჩაქსოვილი ამ სიტყვებში? ხალხს სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს თავზე: შიმშილი, საზარელი შიმშილი კარს უკაკუნებს და ორი თვის შემდეგ მთელი სოფლის ხელშეუხებელი ბატონი შეიქნება. დაუპატიჟებელი სტუმარი მთელს თავის საზიზღარ ამალას შეუსევს სოფელს და გაამეფებს ზნეობრივ გახრწნილებას, ფიზიკურ დამახინჯებას და გონებრივ დაცემულობას. სასტიკი მტერი არაფრის წინაშე არ შეჩერდება, ვიდრე თავისას არ აისრულებს და იქ, სადაც ეხლა სიცოცხლე სდუღს, სადაც ეხლა ადამიანთა ჟრიამული გაისმის, სამარისებურს სიჩუმეს გაამეფებს.

მერე, განა მარტო სოფელი მეტეხია ამ ულმობელ სტუმრის მოლოდინში! განა საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან არ გაისმის თავზარდაცემულთა გოდება, განა თითქმის ყველა ქართველი სოფელი შიმშილის სტუმრობას არ მოელის?

ორი თვის შემდეგ შიმშილობა უკვე ფაქტი იქნება, საზარელი და შემაძრწუნებელი ფაქტი. ქართველ გლეხის უმწეობა, დაბეჩავება და სიღარიბე დღეს ან გუშინ არ დაწყებულა, იგი ძველი ამბავია და ამ ძველ ამბავს ისე მიაჩვიეს ზოგიერთებმა ყური, თითქოს თვით ბუნებას დაეწესებიოს ეს უბედურება იმისთვის, ვინც მთელი წლობით ზურგ მოხრილი ჰრწყავს შუბლის ოფლით დედა-მიწას.

ქართველ გლეხის სილატაკე ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რომ იგი თითქოს აღარც არავის გულს სტკენს, აღარც არავის ცრემლს გამოსწურავს თვალიდან და აღარც არავის აგრძნობინებს, რომ აქ, ამ სილატაკეში სიკვდილი, საზარელი სიკვდილია შთანასახი, არა ერთის და ორის, არა ასის და ათასი ადამიანის, არამედ მთელი ხალხის, მთელი ერის სიკვდილი. თუ აქამდე სიღარიბე ბეჩავ გლეხს მხოლოდ კუჭს, ტანს და ხორცს უსატკივრებდა, ეხლა თვით სულის ამოხდას უქადის, სუნთქვის მოსპობას ჰლამის. ნუ თუ არც ეხლა უნდა გავახილოთ თვალი და არც ეხლა უნდა დავინახოთ ის მართლა „დიდი განსაცდელი“, რომელიც ჩვენს მშრომელს ხალხს მოელის? ჩვენს დროში ყველანი „მშრომელ ხალხის“ ინტერესების მიხედვით სცდილობენ თავის პოლიტიკურ და სოციალურ ფიზიონომიის გამორკვევას, ყველანი „მშრომელ ხალხს“ ეტმასნებიან—და ნუ თუ ყველა ეს სადემაგოგიო ქამანდია და არა გულის სიღრმიდან ამონახეთქი წრფელი აზრი და გრძნობა.

ორიოდე დღის წინად გაზეთებში სწერდნენ: 54 ათასი მანეთი იმ ფულიდან, რომელიც დამშეულთა დასახმარებლად იყო გადადებული, ტფილისიდან უკან გაგზავნეს პეტერბურგში იმ მოსაზრებით, რომ აქ, ტფილისის გუბერნიაში, დახმარება საჭირო არ არისო. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ თუ არ ჩვენ თვითონ, სხვა არავინ თითსაც არ გაანძრევს ქართველ გლეხის თავიდან მშიერ სიკვდილის ასაცდენად.

რა თქმა უნდა, ხანგრძლივ ისტორიულ პირობებით გამოწვეულ ქრონიკულ სენს ისეთი ზერელი საშუალება, როგორც ქონებრივი დახმარებაა, საბოლოოდ ვერ განჰკურნავს, მაგრამ ეხლა იგი მაინც აუცილებელია. ვიდრე ძირითადი რეფორმები განხორციელდება და ისინი ნაყოფს გამოიღებენ, შიმშილობა ცდას არ დაიწყებს, თავის ბასრიან ხელს არ შეაჩერებს. შველა დაუყოვნებელი და დაუზოგავი—შველა საზოგადოებრივად მოწყობილი და მოწეს-რიგებული,—აი, რას მოითხოვს ქართველი სოფლის ეხლანდელი მდგომარეობა.

## ახალი ამბავი

✦ **საფოსტო მატარებლის გაძარცვა.** როგორც გვატყობინებენ, გუშინ დილით ამიერ-კავკასიის რკინის გზის ძირულისა და ხარაგაულის სადგურებს შუა რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასცემია ტფილისისაკენ მომავალ საფოსტო მატარებელს, რომელშიაც, როგორც ამბობენ, 230,000 მან. ყოფილა. მატარებელი შეუჩერებიათ და შეტაკებაც მოსვლიათ მატარებლის მცველ სალდათებთან. ვაგონი მატარებლის გასაღებით გაუღიათ და ისე შესულან. გაუტაცნიათ 8000 მანეთამდე. მოუკლავთ ფოსტალიონი. ჯერ არ არის დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი იყო თავდამცემი, შეტაკების დროს რამდენი კაცი დაშავდა და სხვა.

✦ **ბოქაულის მოკვლა ბაქოში.** როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, 12 ოქტომბერს დილით სადგურის მახლობლად ვიღაც უცნობები თავს დაესხნენ ბალახანის ბოქაულს პოდპოლკოვნიკს პესტოვს. პესტოვი ეტლით მიდიოდა, უცნობნი ორივე მხრიდან შემხტარან ეტლში, დაუშენიათ რევოლვერები, იქვე მოუკლავთ და გაქცეულან. ერთი მკვლელი, ტომით რუსი, შეიპყრეს, მეორე გაიქცა.

✦ **უპურობა.** მეპურეებმა, მიუხედავად ქალაქის გამგეობის განკარგულებისა, 6 კაპ. დაიწყეს პურის გაყიდვა. ხოლო როცა მცხოვრებთ პროტესტი განაცხადეს, მეპურეებმა გუშინ, 12 ოქტომბერს, სრულიად შესწყვიტეს პურის ცხობა, რის გამო ქალაქის ბევრს უბანში ერთი ალიაქოთი მოხდა.

✦ **განცხადება.** გუშინ, 12 ოქტომბერს, ტფ. ქალაქის გამგეობაში ტრამვაის 139 მოსამსახურემ განცხადება შეიტანა. მოსამსახურენი სწერენ, რომ ტფილისში ძალიან გაძვირდა სანოვაგე, მაგ., პური და ღარიბი ხალხი მეტად გაჭირვებაშია. მოსამსახურენი ითხოვენ, გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მოსპოს ხელოვნურად აწეული ფასები.

✦ **8 საათის სამუშაო დღე.** 11 ოქ-

ტომბერს ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში თავ. ა. მ. არგუთინსკის თავმჯდომარეობით მოხდა შეერთებული სხდომა სახელოსნოების პატრონებისა და მუშათა კომისიებისა. შეერთებულს სხდომას უკანასკნელად შეეკითხა გამგეობის კომისიის თავმჯდომარე: სასურველია თუ არა 8 საათის სამუშაო დრო'ს დაწესება, შესაძლებელია თუ არა ერთი საათით დასვენება და სხვა. პირველ ორ საკითხზედ სახელოსნოების პატრონებმა განაცხადეს, რომ სასურველად ვსცნობთ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებასა და 1 საათით დასვენებას, მხოლოდ ეს წესი უნდა საყოველთაოდ იქნას შემოღებული. კომისიამ, ამორჩეულმა ქალაქის თვით მმართველობის მხრივ ნორმალურ დასვენების საქმის გამოსარკვევად, საჭირო ცნობები უკვე შეჰკრიბა.

✦ **დაპატიმრება**. 11 ოქტომბერს პოლიციის მოხელეებმა დააპატიმრეს კავკასიის სამხედრო ოლქის სამმართველოს მოხელე სოპოვი, რომელიც, პოლიციის ცნობებით, პროკლამაციებს აკრავდა ქუჩებში და ამრჩევლებს იწვევდა სოც.-დემოკრატებისათვის მიეცათ ხმები.

✦ **არჩევნები რუსების კურიაში**. ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, მესამედ მოხდა არჩევნები რუსთა კურიაში. 7464 ამრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 2054 კაცმა. ამ დღეს ბურთი და მოედანი ტფ. პატრიოტებს დარჩათ, რადგან მათ შეუერთდნენ რუს-ამომრჩეველთა კავშირის წევრნი კოლჩევსკისა, მარკოვისა და დემენტიევის მეთაურობით. პატრიოტებმა გუშინ გაიმარჯვეს. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 592 ხმა, ღპარტიოებმა 122 ხმა, ხოლო პატრიოტებმა 1353 ხმა. არჩეულ იქმნენ ცნობილი დეკანოზი პატრიოტულ საზოგადოების დამაარსებელი სერგეი გოროდცევი, პატრიოტულ პარტიის თავმჯდომარის ამხანაგი თ. ტიმოშკინი, „ჩერნომორსკი ვესტნიკის" ყოფილი რედაქტორი ცნობილი გრიგოლ ა. პალმი, პატრიოტების გაზეთის „ლეტოპისის" რედაქტორი ნიკ. ნიკ. ჩერნიშევი, სააბრეშუმო სადგურის გამგე ნიკოლოზ შავროვი, საკონტროლო პალატის მოხელე ალექსანდრე ალექსანდროვსკი, თ. ნესტეროვი, ა. ხორინი, ნიკ. სვეტლოვი, პავ. შჩებლიკინი და ინჟინერი ისაევი. საარჩევნო ბიულეტენების გადათვალიერებისა და არჩევნების შედეგის გამორკვევის შემდეგ, ამომრჩეველმა შავროვმა სიტყვა წარმოსთქვა. მან მიულოცა პატრიოტებს გამარჯვება და „ურა" დასძახა. გახარებულმა პატრიოტებმა ბანი მისცეს. გამარჯვება მიულოცა პატრიოტებს აგრეთვე ვასილიევმა.

✦ **სადეპუტატო კანდიდატები**. უკვე გამოირკვა, რომ ტფილისის გუბერნიიდან ს. დემოკრატები დეპუტატად ასახელებენ კარლო ჩხეიძეს, ხოლო ქუთაისიდან ევ. ვაწაძეს. პროგრესისტები ტფილისის გუბერნიიდან ასახელებენ ლ. ანდრონიკაშვილს, ქუთაისიდან ვ. მიქელაძეს ან ნ. ნიკოლაძეს.

✦ **ყვავილი საპყრობილეში**. ბათუმის საპყრობილე აშენებულია 80—90 კაცისთვის, ნამდვილად კი ამ ჟამად იქ დამწყვდეულია 300 კაცამდე საპყრობილეში გაჩენილა ყვავილი, რომელიც, უეჭველია, მალე ყველა პატიმრებს მოედება.

✦ **უმაღლეს კურსებზე**. დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე (ალექსანდრ. ბაღი), ი. ი. აბულაძე წაიკითხავს ლექციას რუსთაველის დროის პოეზიაზე. ხვალ დილაზე მოხდება ლექტორების კრება ახალ ლექციების პროგრამმის შესადგენად.

✦ **ხოლერა ბაქოში**. 1 ოქტომბრიდან 10-მდე ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 30 კაცი, გარდაიცვალა 20.

✦ **მკვლელობა**. როგორც სააგენტო გვაუწყებს, 10 ოქტომბერს დილით კისლოვოდსკში მოუკლავთ ცოლ-ქმარი დრაგოვები. მკვლელები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. ფული რამდენია წაღებული, არ იციან.

✦ **ამომრჩეველნი**. ტფილისში უკვე იწყეს ჩამოსვლა ტფილისის გუბერნიის ამრჩევლებმა. მოდიან აგრეთვე რუსთა კურიის ამომრჩეველნი. რამდენიმე რუსი ამომრჩეველი პატრიოტებმა მიიწვიეს სადეპუტატო კანდიდატის დასასახელებლად.

✦ **ალ. ჭყონიას დაკრძალვა**. გუშინ 12 ოქტომბერს დაკრძალეს გვამი ალექსანდრე მ. ჭყონიასი. ცხედარი დილით წაასვენეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. შემდეგ ცხედარი გამოასვენეს ეკკლესიის წინ, სადაც სიტყვა წარმოსთქვა ვექილმა დემიდოვმა, რომელმაც დაასურათა განსვენებულის მოღვაწეობა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ნაფიცმა ვექილმა შევალიემ. შემდეგ კუბო ხელით წაასვენეს გოლოვინის პროსპექტით, ბარიატინსკისა, ავჭალისა და ხორიის ქუჩით კუკიის სასაფლაოზე. აქ ლექსი წაიკითხა ვარდენ ყიფიანმა. დაკრძალვას დაესწრნენ წ. კ. გამავრცელებელ, ქართულ საისტორიო-საეტნოგრაფიო, ტფილისის იურიდიულ საზოგადოებათა, გაზეთების და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, პატივისმცემელნი და ნათესავები. განსვენებულის სურვილისამებრ, კუბო გვირგვინებით არ შეუმკიათ.

✦ **შეკითხვა**. ამ ორი დღის წინად ხმოსანმა ა. ი. ვართანოვმა გამგეობას წარუდგინა მოხსენება. მოხსენება შეეხება იმ საკითხის გამორკვევას, შეუძლიანთ თუ არა ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთ ხმოსნებად იყვნენ. ტფილისში ასეთი არიან წელს არჩეული სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი გ. ნ. სტეფანიანცი, ინჟინერი ლისიციანი და საკრებულოს წევრი მამულოვი. ეს განცხადება შეტანილი იქნება განსახილველად საბჭოში.

✦ **წიგნის მაღაზიის დაკეტვა**. ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო წესების მოხსნამდე დაიკეტა გორში მიხეილ არჩვაძის წიგნის მაღაზია.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი**. სამხედრო წესების მოხსნამდე ორენბურგის გუბერნიაში იგზავნებიან გორის მაზრის მცხოვრებნი ბიძინა კაპანაძე და ივანე წკრიალაშვილი, ხოლო სამი წლით ივ. აკოფოვი და დ. გიორგიზოვი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ ვასილ კასრაძეს, გიორგი ცერაძეს და გიორგი თედბერაშვილს.

✦ 11 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზედ, რიყის ქუჩაზე ხეჩატუროვის და მირზოევის ღვინის სარდაფთან მიიპარა ვიღაც და გაღებულ ფანჯრიდან რევოლვერი ესროლა და დასჭრა ცხინვალის მცხოვრები ალექსანდრე გიაშვილი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ სად. ფოილაზე ვიღაცას ლიანდაგზე შპალები დაეწყო. მემანქანეს დროზე შეუმჩნევია და მატარებელი შეუჩერებია. არავინ არ დაშავებულა.

✦ როგორც „ნოგ ცარდ"-ს სოფ. ყადგარონიდა (ოსეთი) ატყობინებენ, 25 სექტემბერს ორ იქაურ მცხოვრებს—ულალიყ თედოთშვილს და გუგქაშვილს, რომელნიც სამუშაოდან ურმით შინ მიდიოდნენ, სოფლის მახლობლად დახვედრიათ 10-მდე შეიარაღებული კაცი. თედოთშვილს უკითხავს: „ვინ ხართო", მათ უპასუხნიათ: „ნურაფერი ნუ გეშინიანთ, ჩვენ შენი ნათესავები ვართო". თედთოშვილს მაინც ეჭვი აუღია რომ ისინი ყაჩაღები იყვნენ, გადამხტარა ურმიდან, უსროლია ბერდანიდან და ერთი ყაჩაღი დაუჭრია, მაშინ ყაჩაღებსაც დაუხლიათ თოფები და იქვე მოუკლავთ თედთოშვილი. ყაჩაღებს დასდევნებია მთელი სოფელი, მაგრამ ვეღარ დასწევიან.

✦ დუშეთის ქუჩაზე 11 ოქტომბერს 11 საათზედ ცეცხლი გაუჩნდათ ქვრივს ალიმოვსკის სახლს. გაჩნდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ცეცხლი მალე ჩააქრო. სახლი 10,000 მან. ყოფილა დაზღვეული რუსეთის დამზღვევ საზოგადოებაში.

✦ ტფ. სახელოსნო სასწავლებლის სადგომიდან 10 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, მოუპარავთ მოსწავლის ორი პალტო. ქურდები პოლიციამ უკვე დააპატიმრა, რომელნიც აღმოჩნდნენ მიხეილ ლარიონოვი და ივანე კლიუჩნიკოვი. დ პატიმრებულნი გამოტყდნენ.

✦ 11 ოქტომბერს „სევერნი ნომრების" სასტუმროში საწამლავი დაულევია ქვრივს მარიამ გალაევა'. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ ამნაირად გაცნობეთ, რომ ქალაქის გამგეობას აზრად აქვს ჯარიმის პროცენტი 6-დან 12-მდე გაადიდოს იმ მოსაზრებით, რომ მოქალაქენი იძულებულნი გახდებიან დროზე შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ქალაქის წინაშე. ეხლა მოქალაქეთ შეუტანელ ფულზე ჯარიმად 6% ხდებათ და არც არავინ იცხელებს თავს გადასახადის შეტანაზე. ხმოსნებმა ძრიელ იუცხოვეს ქალაქის გამგეობის წინადადება და 18 ხმით, წინააღმდეგ 14-სა უარჰყვეს იგი. ხმოსანი ნაზაროვი ამტკიცებდა, რომ ჯარიმის მომატება ღარიბ მოქალაქეთ დააწვება კისერზე და ის კი ავიწყდებოდა, რომ შეუძლებელი მოქალაქენი უფრო პირიანად ისტუმრებენ თავიანთ მოვალეობას ქალაქის წინაშე, ვიდრე შეძლებულნი.

✦ გუბერნატორმა არ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება, სადღორიაში იჯარით გაცემულ ადგილების შეფასების შესახებ, რადგან ამ გადაწყვეტილების დროს საბჭოს სხდომას კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა არ დასწრებია. უკანასკნელთა საბჭოს სხდომაზე საბჭომ კვლავ განიხილა ეს საკითხი და 30 ხმით წინააღმდეგ 4-სა დაადასტურა თავისი წინანდელი გადაწყვეტილება.

✦ ქუთაისი ღარიბი ქალაქია შემოსავლით, მაგრამ იგი მდიდარია ისეთ ძვირფას ქონებით, როგორიც არის სადღორიის აგარაკი. ეს მამული როგორც მდებარეობით, ისე სხვა თვისებით, ძვირფასია და ქალაქის თვითმართველობამ მისდენი უნარი ინიციატივისა ვერ გამოიჩინა, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეემუშავებინა ამ მამულის ექსპლოატაციის გეგმა და თანდათანობით განეხორციელებინა. ამიტომაა, რომ თვე ისე არ გაივლის, რომ სადღორიის აგარაკის ექსპლუატაცია საბჭოს საკამათოდ და საბაასოდ არ გახდეს. უკანასკნელ სხდომაზე საბჭომ არ მოიწონა მოქმედება გამგეობისა, რომელსაც 18 დესეტინა ტყე გაუჩეხია; მოჭრილი ხე-ტყე გაუყიდნია, ხოლო ტყიდან განთავისუფლებულ ადგილზე სალეღლად აკაცია დაუთესია. ბევრისა და ცხარე კამათის შემდეგ საბჭომ საჭიროდ სცნო აირჩიოს კომისია, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში უნდა წარუდგინოს საბჭოს მოხსენება სადღორიის ექსპლუატაციის შესახებ. კომისიას უფლება აქვს თავის სხდომებზე [illegible] მიიწვიოს. კომისიის წევრებად აირჩიეს: ზარ. მოსეშვილი, [illegible] გველესიანი, იაკობ ჩიმაკაძე და ვასილ ძოწენიძე. სადღორიის ექსპლუატაციის საქმე მეტად რთულია და ვფიქრობთ, რომ კომისიამ სავსებით შეასრულოს მინდობილობა.

✦ საბაზრო კომისიას ყურადღება მიუქცევია, რომ პური ქალაქში მეტად ბინძურსა და არა ჰიგიენურ პირობებში ცხვება და ამ ჟამად კომისია იკვლევს იმ საშუალებას, რომლითაც შესაძლებელი გახდება ამ ნაკლის მოსპობა. საზოგადოდ, საბაზრო კომისიას დიდი საქმე აქვს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქუთაისში არავის უჭირავს თვალყური სანოვაგის გაყიდვაზე, მაგრამ კომისია ხამუშ-ხამუშად იღვიძებს სძილთას ძილიდან, რომ მალე ისევ მიეცეს მოსვენებას.

## პრესა

—:—

გაზეთ „რეჩ"-ს იაკუტსკის გაზეთში ამოუკითხავს ორი სტრიქონი, რომელიც მთელ და საშინელ ტრაგედიაზე მოგვითხრობს. აი, ეს ორიოდე სტრიქონი: „საოლქო მმართველობამ 18 ივლისის სხდომაზე დაადგინა ამოშალოს გადასახადთა სიებიდან თუნგუზთა მოდგმის ერთი ხალხი, რადგან ეს ხალხი სრულიად ამომწყდარა; უკანასკნელ წლებში მხოლოდ ორი წარმომადგენელი ყოფილა ცოცხალი".

გაზეთი „რეჩ"-ი ამ ამბავს კომენტარიებს აყოლებს, მაგრამ რა კომენტარიებია საჭირო?! განა თვით ფაქტი არ ღაღადებს საშინლად და შესაზარად?! მეოცე საუკუნეში მთელი ხალხი გადაშენდა იმ ქვეყანაში, რომელიც კულტურულად ითვლება და რომელიც განახლების მოლოდინშია. სამასი წლის ბატონობამ ეს ნაყოფი გამოიღო, გოდებს „რეჩი". სამასი წელიწადია რუსეთი დაეპატრონა ციმბირს და ისეთი ვერაგული, ბოროტი და მავნე პოლიტიკა გაამეფა „ინოროდცების" მიმართ, რომ ყველა არა-რუსნი გადაშენების გზას დაადგნენ. ჩრდილოეთ ციმბირის ნახევრად ველურნი არაყით და „ნაგაიკით" ამოსწყვიტეს; ხოლო დასავლეთ და სამხრეთ ციმბირის მკვიდრთ ეხლა მიწებსართმევენ და ამგვარად აყენებენ გადაშენების გზაზე... ერთ მუჭა ავანტიურისტებს ჩაუგდიათ ხელში უფლება და, რასაც უნდათ, იმას სჩა-

# ფელეტონი

### აღარ გაჩუმდებით?!

(დასასრული *)

წინა წერილში მრავალის საბუთითა და უცილობელ ფაქტით დავამტკიცეთ, რომ ჩვენებური სოც.-დემოკრატია არა თუ არ შეუერთდა ილიას გლოვაში ქართველ ერს, როგორც ამტკიცებდა ნ. ჟ—ია, არამედ განზე გადგა და ნათლად და ცხადად დაამტკიცა, რომ მას ილიას მოკვლა სარევოლიუციო აქტად მიაჩნდა: ტფილისის კოლექტივმა არ მოისურვა განსვენებულის პატივისცემა, სოც.-დემოკრატი სტუდენტობა წინ აღუდგა სამგლოვიარო დეპეშებისა და წერილების გამოგზავნას, სოც.-დემოკრატიული საოხუნჯო გაზეთები მასხარად იგდებდნენ ილიას ცხედარსაც და იმათაც, ვინც განსვენებულ მგოსანს გლოვობდა.

რამ გამოიწვია ეს ამბავი და რატომ სოც.-დემოკრატიაც არ შეუერთდა ნ. ჟ—ას სურვილისამებრ ილიას გლოვაში დანარჩენ პარტიებსა და კლასებს? ხელმეორედ ვიმეორებ: ამისი მიზეზი ის არის, რომ სოც.-დემოკრატების უბრალო არმია ბოლომდის ჩაჰყვა თავის ლოღიკას და პატივი არა სცა იმ მიცვალებულს, რომელსაც სიცოცხლის დროს გარეულ ნადირივით დასდევდა. ვინ უწოდა ილია ჭავჭავაძეს ჯაშუში და უსასტიკესი მემამულე მთელ საქართველოში? ვინ სდევნიდა მას გარეულ ნადირივით და იმის გასაშავებლად არ ზოგავდა არავითარ საშუალებას, არ ერიდებოდა არავითარ საზიზღარ ცილისწამებას, ჭორებსა და სიცრუეს? აი, სწორედ ამ რამდენიმე კითხვის გარშემო ტრიალებს ჩვენსა და სოც.-დ—ბს შორის ატეხილი დავა. მაგრამ სწორედ აქ თავის თავად იბადება ერთი კითხვა, რომელსაც მხარს ვერ აუხვევთ: მართალი იყო ყველაფერი, რასაც ილიას შესახებ სწერდნენ და ლაპარაკობდნენ ს.-დემოკრატები, თუ ყველაფერი მოჭორილი ცილისწამება იყო. მაგრამ ჯერ გავყვეთ ნ. ჟ—იას და ვკითხოთ, რა ნიადაგზე მოჰკლეს ჭავჭავაძე და სჯერა თუ არა მას, რომ განსვენებული უსასტიკესი მემამულე იყო მთელ საქართველოში? ამ კითხვას ჩვენი მოპირდაპირე თვითონვე აყენებს და დიალექტიკურ სოფიზმებით გართული პირდაპირ პასუხს არ იძლევა, მაგრამ მის წერილში პასუხი მაინც ცხადად მოსჩანს. ის ჯერ ეხება კავკასიის რევოლიუციას, მის ნაყოფს და მერე უკიჟინებს ფედერალისტებს:

„თქვენ გსურთ ყველა ეს უკუ აგდოთ. დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა". აქედან ცხადად სჩანს, რომ ნ. ჟ—ია ილიას მოკვლას ჩვეულებრივ მოვლენად სთვლის. მთელ რუსეთში ხეები იჭრება, ე. ი. რევოლიუცია ხდება, და აქეთ-იქით ნაფოტები ცვივა. ჭავჭავაძეც ასეთი ნაფოტი ყოფილა. შემდეგ: „დიდმა რევოლიუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე. მარა ამიტომ თვით რევოლიუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა". აი საუცხოვო ნიმუში მიტინგურ დემაგოგობისა! რა შუაშია ან ლავუაზიეს მაგალითი, ან რევოლიუციის დაგმობა? ჯერ ერთი, რა არის საერთო ლავუაზიესა და ჭავჭავაძის მოკვლის შორის? ლავუაზიე დასაჯა რევოლიუციამ, ჭავჭავაძე კი, თვითონ ნ. ჟ—ას სიტყვით, რეაქციამ. მაგრამ მაინც რა შუაშია რევოლიუციის დაგმობა და ვინ დაჰგმო იგი? „ისარი" უსაყვედურებდა ს.-დემოკრატიის ბელადებს ილიას შესახებ ჭორების გავრცელებას, მის დევნას, ჯაშუშად გამოცხადებას და ათასნაირ ყალბ და საზიზღარ ცილის დაწამებას. აქედან ნ. ჟ—ას ასეთი დასკვნა გამოჰყავს: ეს ხომ რევოლიუციის დაგმობა არისო! ეხლა ვკითხოთ რევოლიუციის არა მკითხე ვექილს, რა იყო რევოლიუციონური ს.-დემოკრატების მიერ ილიას წინააღმდეგ ატეხილ ბრძოლაში? ის, რომ მას ჯაშუში უწოდეს? რომ მის თხზულებებს ბოიკოტიც გამოუცხადეს? ან იქნება რევოლიუციონურ აქტად მიგაჩნდათ ჭორების გავრცელება, ვითომ ილია წყლის დალევისთვის საგურამოელ გლეხებს თითო სულ საქონელზე ათ შაურსართმევდა, ერთ გლეხს კოკა თავზე გადაამტვრევინა და აივნიდან ეძახდა, დაჰკა, დაჰკაო? დიახ, „ისარი" გისაყვედურებდათ ასეთ ყოვლად საზიზღარ და საძაგელ იარაღით ბრძოლას, ნ. ჟ—ია კი ამას ხელზე იხვევს და დემაგოგობს: ეს რევოლიუციის დაგმობააო! აი საუცხოვო მაგალითი და მასალა საზოგადოდ დემაგოგების დასახასიათებლად, მაგრამ ეს მაგალითი პირდაპირ იმას გვეუბნება, რომ ნ. ჟ—ია ამართლებს „მოგზაურის" ისტორიას, რასაც ის ცოტა ქვევით პირდაპირ აცხადებს.

ამ ისტორიასაც ქვემოდ დავუბრუნდებით, ეხლა კი საჭიროდ მიმაჩნია ნ. ჟ—ას გავახსენო ერთი პატარა ნაწყვეტი სოც.-დემოკრატიის ისტორიიდან. ახსოვს თუ არა ნ. ჟ—იას ის დრო, როცა ს.-დემოკრატების ბელადები ცხარე აგიტაციას ეწეოდნენ ილიას წინააღმდეგ, მართავდნენ ხელის მოწერას და ბოიკოტს უცხადებდნენ ილიას იმ „კაკო ყაჩაღს", „გლახის ნაამბობსა" და „კაცია ადამიანს", რომელთაც იმათ თვალში მხოლოდ ეხლა მოიპოვეს ფასი. იყო თუ არა იმ დროს ტფილისში ნ. ჟ—ია, და იცოდა თუ არა მან ეს ამბავი, და თუ იცოდა, რას ამბობდა, რას ფიქრობდა? აი, სწორედ აქედან დაიწყო იმ „ნიადაგის მომზადება", რომელიც „ისარმა" აღნიშნა. აგიტაციას და ბოიკოტს მოჰყვა ის, რომ სოც. დემ.-ის სალდათებმა გულუბრყვილოდ დაიჯერეს ილიას ჯაშუშობაც და ისიც, რომ ილია უსასტიკესი მემამულე იყო მთელ საქართველოში. ამიტომ იყო, რომ ავჭალის აუდიტორიაში ილიას ხსენებაზე იმოდენა ხალხმა ერთი აყალ-მაყალი და აურ-ზაური ასტეხა.

ილია გაჩუმდა, „თავის ქერქში ჩაძვრა" და მოშორდა მწერლობას, პოლიტიკას და საზოგადო მოღვაწეობასაც. სამაგიეროდ იმას არ მოშორდნენ. საჭირო არ არის „მოგზაურის" ამბავის განმეორება. მგონი ყველას ეცოდინება ეს სამარცხვინო ეპიზოდი ჩვენი პრესის ისტორიისა. ილიას გამომძიებლად დაუნიშნეს ვიღაც მეჭორე კორესპონდენტი. ბრალმდებლობა, რასაკვირველია, ფილიპე მახარაძემ იკისრა, რომელიც თავის თავის გარდა ყოველთვის და ყველას ამტყუნებს. მოსამართლეობა, ლაპარაკი არ უნდა, „ხალხს" მიანდეს. დაიწყო სამართალი- „ხალხის" წინაშე წარსდგა „ჯაშუში" და „უსასტიკესი მემამულე". დაიწყო ის სამართალი, რომელზედაც გიოტემ ასე მოსწრებულად სთქვა: „ბრბოს შეუძლიან მხოლოდ მოკვლა და არა გამართლება".

ვნახოთ როგორ და ვინ გაასამართლეს ილია.

„ლიტერატურული ბრძოლა იმითია კარგი, რომ მოწინააღმდეგეთ სრული საშვალება აქვთ სიმართლე აღადგინონ", —სწერს ილიას შესახებ ბ-ნი ყარიბი, რომელიც ასეთ ცოცხალ ტყუილებს აცხობს: ის იხსენიებს ილიას უკანასკნელ წერილს, რომელიც მან „მოგზაურის" საპასუხოდ დასწერა და ამტკიცებს, ვითომ ილიამ ეს წერილი მიიტანა „ცნობის ფურცელში", მაგრამ იქ არ დაუბეჭდეს. „მხოლოდ ამის შემდეგ,—სწერს ყარიბი,—განახლებულმა „ივერიამ" დიდი ყოყმანის შემდეგ დაბეჭდა". ჯერ ერთი, ილიას ის წერილი „ცნობის ფურცელში" არ მიუტანია. მეორე—„ივერიას" არ უყოყმანია. იმ დროს ამ სტრიქონების ავტორი „ივერიაში" მუშაობდა და კარგად იცის ისტორია ილიას წერილისა. მესამე—ყველას ეხსომება ის აყალ-მაყალი, რომელიც „მოგზაურმა" აუტეხა „ივერიას" სწორედ იმიტომ, რომ „ივერიამ" ილიას წერილი დაბეჭდა. მერე რამდენმა მოსამართლემ წაიკითხა ის წერილი? ათიოდემ, ვთქვათ ასიოდემ. მოსამართლეთა რიცხვი კი რამდენიმე ათასი იყო, ე. ი. „მთელი ხალხი", რომელიც სოც. დემ. პარტიას შეადგენს. „ხალხს-მოსამართლეს" კი, სანამ ბრალდებულს მოისმენდა, წინდაწინვე ჰქონდა გადაწყვეტილი განაჩენი, რომელიც მზა-მზარეული გადასცეს მას ხელში, წინდაწინვე შედგენილი. განაჩენი კი სასტიკი და დაუნდობელი იყო. მგოსანს მიუსაჯეს მძულვარება, ზიზღი, ბოიკოტი, „ჯაშუში" და „უსასტიკესი მემამულე მთელ საქართველოში". ასე გაასამართლეს მგოსანი და ასეთი მწარე ბედი არგუნეს მის ჭაღარას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „მოგზაურის" ისტორიასა და ილიას „ჯაშუშობა-სისასტიკეს". ყარიბს ამ ამბავის გადაფუჩეჩება უნდა. ის სწერს: „რა

*) იხ. „ისარი" № 222

დიან. სასაცილოდ არის აგდებული თვით რუსთა კეთილ-დღეობის საქმე, „ინოროდცები“ ხომ პარიებია, რომელთა დამონავება, დაჩაგვრა და ამოწყვეტაც კანონიერ და სამართლიან მოვლენად მიუჩნევიათ. ხოლო თუ რომელმამე ერმა არ მოითმინა ასეთი ბედი, არ შეურიგდა ასეთ ყოფას და სიცოცხლე მოიწადინა, მაშინვე იწყება განგაში „ინოროდცების“ ინტრიგაზე, სეპარატიზმზე, თავაშვებულებაზე და სხვა. თუნგუზთა ერთის მოდგმის გადაშენება რუსეთის ბიუროკრატიას მხოლოდ იმ მხრით აინტერესებს, მხოლოდ იმ მხრით იწვევს ეს ფაქტი მის ყურადღებას, რომ გადასახადთა სიებიდან უნდა ამორიცხოს, მორჩა და გათავდა! სხვა რა ედარდება გათახსირებულს და სრულიად დაცემულს მთავრობას?..

## პროვინციის ცხოვრება

**სოფ. ჭალევი** (ქუთაისის მაზრა). თუ საყოველთაო მოძრაობის დროს ჩვენი სოფელი „ჭკვიანად“ და „დინჯად“ მოქმედებდა, თუ მაშინ იყო ჩამორჩენილი და გესლიანად დასცინოდა ზოგიერ მებრძოლ კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, სამაგიეროდ დღეს სცდილობს არ ჩამორჩეს და ამ სასტიკ რეაქციის დროს მაინც იჩინოს თავი რითმე. ზოგიერთი „უფლებით აღჭურვილი“ გაჟბატონი ოთთოაანთ ქორივით შინაურებს დაუტრიალდა და „ჭკა მაგასო!“ გაიძახის. ამ წლის გაზაფხულზე სოფელს სტრაჟნიკები შეესივნენ, ეძებდნენ ერთ უმაწვილს დასაჭერად, რომელსაც ჰბრალდებოდა ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის მოწყობა. ადგილობრივ ნაცვლის—ანტონა ოურთშიძის და ნიკო ბოჭორიშვილის მიძღოლით ამ უმაწვილის ოჯახი ააოთრიაქეს, მოხუცებული ბებია და ჯოხებით მავალი დედა აუწიოკეს; ესეც არ იკმარეს და იქვე მეზობლებს შეესივნენ. რაკი ვერას გახდნენ, დასახელებულ პირთა რჩევით, გაბაწრეს იმ უმაწვილის სიძე სოფ. კურსებში მცხოვრები, სრულიად უდანაშაულო ადამიანი, რომელიც შემთხვევით გამოსულიყო სიდედრთან. ხსენებულ გაჟბატონთა თავგასულობა ამით არც იწყება და არც თავდება. საქონლის ჭერა, ქვრივ-ობლის აწიოკება გადასახადებისთვის და სხვა მრავალი ამგვარი მათი ხელობაა. ამას წინად დავრდომილ ქმრის პატრონ წვრილ შვილიან დედაკაცს გადასახადის გულისთვის ქვაბსა და ფარდაგს უძიდნენ, რომ მეზობლები არ მიშველებოდნენ; ნ. ბოჭორიშვილმა, ამ ჩასუქებულმა გლეხმა, იმავე საცოდავ დედაკაცს ბოქაული მიუყვანა შინ და რადაც ორიოდ მანეთში, რომელიც იმ დედაკაცის ავადმყოფ ქმარს ემართა, ძროხა აუწერა, სხვა რომ ვერაფერი იპოვა ხელწამოსავლები. უგზო-უკვლობა ერთ საშინელ ნაკლს შეადგენს ჩვენის სოფლისას, მაგრამ ამაზე თავს არავინ იწუხებს, პირიქით, ხსენებული ანტ. ოურუშიძე სულ იმასა სცდილობს, რომ თავის ადგილზე გზა არ გაატაროს და სხვ.

წელს ჩვენსკენ მოსავალი უოვლად უნუგეშოა. ნაგვიანებმა ყანამ ვეღარ მოასწრო თავის დასხმა და ნაადრევად, ჭულინტადვე დაჭკნა. ხალხი რაღაც განსაცდელის მოლოდინშია და ეს განსაცდელი უეჭველად სიმინდის დიდი ნაკლებულობა იქნება. ღვინის მოსავალი შარშანდელზე უკეთესია. მაგრამ ხალხის წუხილს ეს მაინც ვერ მოაშუშებს. რაც უნდა იყოს, ბუნების წინააღმდეგ წასვლა არ შეიძლება, გლეხი მუშაობს, იღვწის, და რასაც ბუნება უწყალობებს, მითაც კმაყოფილია, რადგანაც „სამართლით მოჭრილი თითი არ მეტკინებაო“—ამბობს. ხოლო სავალალო და სამწუხარო ისაა, გაჭირვებულს და დავრდომილს, უდანაშაულო ადამიანს თავის თავი ვერ დაუცავს სინიდისზე ხელ აღებულ ადამიანისაგან, რომელთათვისაც არაფერი წმინდა არ არსებობს ქვეყანაზე, გარდა თავიანთ ბოროტულ მიდრეკილებისა და ჟინისა. დროა მთელმა სოფელმა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და საერთო ძალ-ღონით აღკვეთოს მსგავს ადამიანების ადვირ ახსნილობა. **გლეხი.**

---

**თელავი.** კახეთ ქიზიყის სამოსწავლო ოლქის დეპუტატთა ჩვეულებრივი კრება არა ჩვეულებრივი იყო თავის შინაარსით. როგორც უკვე აღვნიშნე „ისრის“ მე-216 ნომერში, თავმჯდომარის სავარძელი ბრძოლით სიღნაღის დეპუტატებმა დაიტოვეს. ნათლადა სჩანდა, რომ სიღნაღის სამღვდელოებას ეხოთირებოდა თელავის სასულიერო სასწავლებლის არსებობა, მაგრამ თელავთიონეთის სამღვდელოება გადაედობა წინ. კრება რამდენსამე დღეს გაგრძელდა. ზოგიერთმა საკითხებმა მწვავე ხასიათი მიიღო. კრებამ სასულიერო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო ცოტაოდენის ცვლილებით; მოსამზადებელ განყოფილების მასწავლებელთ 100 მან. მოუმატა წელიწადში, მომავალ იანვრიდან ფრანგული ენა შემოიღო და სავალდებულო საგნად სცნო და სხ. საცილობელ საქმედ გაუხდიათ ჩვენ მამებს თელ. სანთლის საწყობი, რომელსაც სას. სასწავლ. გამგეობა განაგებს. არა მემომეცით, არა მეო. უოველ წელს თხოულობენ და უოველთვის უარს ეუბნებიან. წელსაც ამ თხოვნაზე კრებამ უარი სთქვა და ზედმეტად დაადგინა, აწინდელ მმართველთ მადლობა გამოუცხადოს. მაგრამ არ ვიცით, რა მოსაზრებით, თავმჯდომარემ თხოვნაზე წააწერა: ეგზარხოსს წარედგინოს კეთილ განსახილველადო, თუმცა ეს არავის დაუვადებია და არც არავის დაუდგენია.

კრებამ დაწყებისას ფეხზე ადგომით პატივი სცა დაუვიწყარ მგოსნის ილია ჭავჭავაძის ხსოვნას, ხოლო შემდეგ პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულის სულის მოსახსენებლად. **დამსწრებული.**

## რუსეთი

✦ **ჭეშმარიტ რუსთა გავლენა.** ამას წინად სულ უმიზეზოდ სამსახურიდან დაითხოვეს ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალი კარასი. ეხლა გაიგეს მიზეზი ამ ამბისა. თურმე ნუ იტყვით, ყაზანელ ჭეშმარიტ რუსებს პეტერბურგში მიუწერიათ, გენერალი კარასი მეტის-მეტად გულკეთილი კაცია და შესაფერ მხნეობასა და სიმტკიცეს ვერ იჩენს რევოლიუციონერების დევნაშიო. მთავრობამ საქმის გამოუძიებლად დაითხოვა „გულკეთილი“ გენერალი.

✦ **მენშიკოვის დუელი.** ამას წინად მენშიკოვმა უშველებელი წერილი დაბეჭდა ფინლიანდიის შესახებ და აუარებელი ცილი დასწამა ფინლიანდიას. ამის გამო შეკრებილან ფინურ გაზეთების რედაქტორები და გადაუწყვეტიათ მენშიკოვის დუელში გამოთხოვა. კაციც მიუგზავნიათ, მაგრამ მენშიკოვს ჯერ პასუხი არ გაუცია.

✦ **გორკის სურათის გამოკიდვის აკრძალვა.** პეტერბურგის ალექსანდრე III-ის მუზეუმმა უკანასკნელ ხანებში რამდენიმე საუცხოვო სურათი შეიძინა რუსეთის ზოგიერთა გამოჩენილ მწერლისა და მოღვაწისა. სხვათა შორის, მას შეუძენია სურათი მაქსიმ გორკისა და განუზრახავს მისი გამოკიდვა მუზეუმში, მაგრამ ვილასაც საიდგანღაც ბრძანება მოსვლია, გორკის სურათი არ გამოაჩინოთო. მუზეუმის გამგემ სურათი ჰერში შეინახა.

✦ **უცხოელის თავგადასავალი.** კიევში ჩამოსულა ვინმე ამერიკელი გრინი. რამდენიმე დღის შემდეგ ღამე გრინი შინ მოდიოდა. გზაში ქურდები დაეცნენ, წააქციეს, წაართვეს ოქროს საათი, 630 მანეთი ფულად და მიიმალნენ. გრინი პოლიციელთან მივიდა და დაუწყო ლაპარაკი, მაგრამ ვერაფერი გააგებინა, რადგან რუსული არ იცოდა. პოლიციელმა პოლიციაში წაიყვანა, მაგრამ იქაც ვერაფერი გაიგეს. ამ დროს პოლიციაში შევიდა ვიღაც კაცი. გრინმა მას ხელი სტაცა, ჩემი ქურდი ეს არისო და მოსთხოვა ფული. პოლიციელმა მაინც ვერაფერი გაიგო და... გრინს სილა გაარტყა. მერე დაამწყვდიეს და მხოლოდ მეორე დღეს გამოირკვა ყველაფერი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქიათურა.** შაბათს დასდგეს პიესა „ადლუმი“. საერთოდ გვარიანად ჩაატარეს. ნუცა კარგად დაგვიხატა ქ-მა მ. მდივანმა. კარგი იქნებოდა ბ-ნი ბარველიც სემინარიელის როლში, რომ ნამეტანი მკრთალი არა ყოფილიყო. ექიმის როლში რიგიანი იყო ბ-ნი თალაკვაძე. თუ იგი შრომას და მეცადინეობას არ დიზარებს, მომავალში ჩვენს მსახიობთა შორის საპატიო ადგილს დაიჭერს. მსუბუქაშვილი კლოუნად გამოიყვანა ბ-მა ურუშაძემ. ჩინებული იყო გენერლის როლში ბ-ნი შალვა დადიანი. რაინდაძის როლში არა უშავდა რა ბ-ნ მგელაძეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საერთო მიუხიდველობას, უმარილობას იმის თამაშში.

კვირას გაიმეორეს სეზონის გახსნის დღეს, 9 ენკენისთვეს, დადგმული პიესა „უბედური ნაბიჯი“ ნ. კარეევისა. ავადმყოფობის გამო პირველ აქტის შემდეგ ვეღარ შეძლო თამაში ნიკოლოზ იაკოვლევიჩის როლში ბ-მა დადიანმა და იმის მაგიერ გამოვიდა ბ-ნი თელაველი. საერთოდ ანსამბლს არაუშავდარა. მ. მდივანი ვარიას როლში, თუ უკეთესი არა, წინანდელზე ნაკლები არ იყო. **მეც აქიოთრი.**

## საზღვარ-გარედ

**საყოველთაო გაფიცვა მილანში.**

ამ წლის სექტემბრის მიწურულში ჩრდილოეთ იტალიის უდიდეს ქალაქ მილანში დიდი მღელვარება და მოძრაობა იყო მუშების საყოველთაო გაფიცვის გამო.

საყოველთაო გაფიცვა სრულიად არ ჰქონიათ განზრახული მილანელ მუშებს. ადგილობრივ გაზის ქარხნის მუშები იყვნენ გაფიცული შრომის ზოგ პირობების გამო; გაფიცვა გათავდა მუშებისა და ქარხნის პატრონების შეთანხმებით. მაგრამ სანამ შეთანხმება ჩამოვარდებოდა, ქარხნის პატრონებს მოუყვანიათ გაფიცვის გამტეხი მუშები სხვა ადგილებიდან. შეთანხმების შემდეგ ეს შტრეიკბრეხერები სახლში ბრუნდებოდნენ. ვოკზალზე ისინი იცნეს ერთ მექანიკურ ქარხნის მუშებმა, ამათ თავი ვერ შეიკავეს და ცემა-ტყეპა უთავაზეს ამხანაგების მოღალატეთ. ცემა-ტყეპამ არეულობა გამოიწვია, არეულობაზე კარაბინერები (ჯარი) მივიდნენ და ასტეხეს სროლა: დაიჭრა ოცი მუშა, ამათგან ორი სასიკვდილოდ.

კარაბინერების ასეთმა საქციელმა ძლიერი მღელვარება გამოიწვია მილანის ყველა მუშებ შორის და პროტესტის გამოსაცხადებლად საყოველთაო გაფიცვა დაადგინეს.

შრომის ბირჟის წარმომადგენლებმა მოიარეს მრეწველობის უმთავრესი დაწესებულებანი, ტრამვაის დეპოები და მუშაობა ყველგან შეწყდა. [illegible] ტიული ყავახანებიც კი დაკეტეს ხალხმა პატრონებმა.

მუშაობა შეწყდა სტამბებშიც და ამიტომ გაზეთები არ გამოსულა. გაფიცვამ გავლენა იქონია რკინის გზის მატარებლების მიმოსვლაზედაც. მხოლოდ დიდის გაჭირვებით მოახერხეს ორის ექსპრესსის გაგზავნა.

ასეთმა ენერგიულმა გაფიცვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობის წრეებზე. ადგილობრივი პრეფექტი ისე დაიბნა, რომ დეპეშა გაუგზავნა სოციალისტ-დეპუტატს ტრევეს—სასტიკი გამოძიება დავნიშნე, რომ უთუოდ გამოირკვეს, ვინ ესროლა ხალხს, დამნაშავენი უთუოდ დასჯილი იქნებიანო.

მილანის საყოველთაო გაფიცვა გადავიდა იტალიის სხვა ქალაქებშიაც. მაგალითად ბოლონიაში ოცდაოთხი საათით შეწყვეტილი იყო ყოველგვარი მუშაობა იმის ნიშნად, რომ სავსებით თანაუგრძნობენ მილანის მუშებს.

იმ დროს, როცა მილანში ეს ამბები ხდებოდა, ფლორენციაში სხდომები ჰქონდა სინდიკალურ-სოციალისტურ კონგრესს შრომის კონფედერაციისა და სოციალისტურ პარტიის მოსარიგებლად. როცა მილანის მუშებმა დაინახეს, რომ შესაფერი ღონისძიებაა მიღებული დამნაშავე კარაბინერების წინააღმდეგ, დაადგინეს გაფიცვის შეწყვეტა. იმ კრებაზე, რომელზედაც ეს დადგენილება იყო მიღებული, 30 ათასზე მეტი მუშა დაესწრო. კონგრესის ანარხისტული და წმინდა სინდიკალისტური ელემენტები თხოულობდნენ გაფიცვის განგრძობას, მაგრამ სოციალისტურ პარტიის გავლენით ეს მოთხოვნა უარყოფილ იქმნა.

გადაწყვეტილების მიღებისათანავე მუშები შეუდგნენ საქმეს; მეორე დღეს გაზეთები გამოვიდა და ქალაქმა თავისი ჩვეულებრივი სახე მიიღო. რასაკვირველია, ბოლონიაშიაც შეწყდა გაფიცვა, რაკი მილანელები შეუდგნენ მუშაობას.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რუსეთში.**

**13 ოქტომბერი**

**კალუგა.** საგუბერნიო საერობო გამგეობამ შუამდგომლობა გაგზავნა, სადაც ჯერ არს, რომ ერობას უფლება მიეცეს, მოაწყოს იურიდიულ დახმარების საქმე.

**ვერხნე-დნეპროვსკი.** საერობო კრებამ აირჩია თავმჯდომარედ და მიწის მომწესრიგებელ კომისიის წევრებად მემარჯვენეები და ოქტომბრისტები.

---

ვუყურით, რომ ბრძოლის დროს მებრძოლნი ხშირად გადააჭარბებენ. გაზეთმა სამართლიანად თუ უსამართლოდ (ილიას) საწინააღმდეგო კორესპონდენცია დასწერა“. აი, ამას ჰქვიან „მოქალაქობრივი“ სიმხდალე და სილაჩრე. ყარიბი ცდილობს ჩვენი უმთავრესი ბრალდება ბანზე აგდოს, ჯიბეში ჩაიდოს, ზედ დააწვეს, ან პირში ჩაიდოს და გადაჰყლაპოს, ოღონდ ამ კორესპონდენციას თავი დაანებეთო. ის ხმას არ იღებს, სამართლიანი იყო ეს კორესპონდენცია, თუ უსამართლო, ვინაიდან ამისთვის საჭიროა გამბედაობა და პირდაპირობა, საჭიროა გამტყუნება მახარაძისა, მასთან ერთად პარტიულ გაზეთისა და გაზეთთან ერთად, რასაკვირველია, პარტიასაც მოხვდება. „მორჩა და გათავდა!“—ჩქარობს საქმის გათავებას ყარიბი, მაგრამ ამაოდ: საქმეს ჩვენ სწორედ აქ ვიწყებთ და ამ პოზიციიდან იმ დრომდე არ მოვიცვლით ფეხს, სანამ ან თვითონ ყარიბი, ან ნ. ჟ—ია, ან ორივენი და მათთან ერთად გავლენიანი ჯგუფი ს. დემოკრატების ბანაკისა არ გამოტყდება და შესაფერად არ დააფასებს „მოგზაურის“ ისტორიას. მაგრამ ყარიბს მაინც არ ესმის ჩვენი დაჟინება და გულუბრყვილოდ კითხულობს: „რათ დასჭირდათ ამ ვაჟბატონებს ამ მტვერწაყრილი ამბის გამომზეურება?“ ხედავთ რა გულმოდგინეთ აყრის მტვერს ამ ამბავს ყარიბი? მას ეშველება ნ. ჟ—ია, „ჩვენი გზა“ და მთელი სოც.-დემოკრატიული პარტია. ყველანი გაჩუმებულან და გოდრებით აყრიან მტვერს თავიანთ კვალს. ტყუილი მუშაობაა! ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიკოსი ადვილად გამოაჩხრეკს მტვრის ქვეშ დამალულ სიბინძურეს და შესაფერად დააფასებს მას.

ზემოდ ვთქვით, რომ ნ. ჟ—იას სჯერა ყველაფერი, რაც „მოგზაურმა“ დასწერა ილიას შესახებ. ის ამართლებს „მოგზაურს“, რადგან მან „ბოროტ-მოქმედება და ტირანია“ ალაგმა. მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი ნ. ჟ—იას მეთოდის შესახებ. მთელი მისი წერილი აგებულია ანალოგიის მეთოდზე: ფედერალისტები და შავ რაზმელები ერთნაირად მსჯელობენო, ათჯერ იმეორებს დიალექტიკოსი, მაშასადამე, ფედერალისტი და შავ-რაზმელი ერთი და იგივეაო. ბავშვური და სოფისტური ხერხია, რომელიც ისევ ავტორსა და მთელ სოც. დემოკრატ. პარტიას ხვდება გულში. აი მაგალითიც: ჩვენებურ სოც.-დემოკრატებსა და „ჭეშმარიტ რუსებს“ ერთნაირად „სძულთ და ეზიზღებათ“ საქართველოს წარსული, მისი დამოუკიდებლობა და სიტყვა „ფედერალისტი“, მაშასადამე, იმავე ნ. ჟ—იას მეთოდით, ჩვენი ს.-დემოკრატები და „ჭეშმარიტი რუსები“ ერთმანეთისაგან არაფრით განირჩევიან. შეიძლება ეს მართალიც იყოს, მაგრამ ასეთ მეთოდს ჩვენ ვერ ვიხმართ, ვინაიდან ცხადზე უცხადესია სიყალბე და სიმჩატე ასეთ მეთოდისა, რომელიც ხელ-უხლებელი საკუთრებაა დემაგოგიისა და ცუდ-მოკლე სოფიზმისა.

ეხლა გადავათვალიერეთ უკანასკნელი ნაწილი ნ. ჟ—ას წერილისა და ნახავთ, თუ რაგვარ აბსურდამდე მიიყვანა ამ მეთოდმა პარტიული ვექილი. ის ეხება „ისრის“ მიერ წამოყენებულ ბრალდებას, რომ „მოგზაური“ და მისი მეგობრები ილიას ბრბოს უსისინებდნენო და ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას ჯერაც ვერ გაუგია, რას ვაბრალებთ ს.-დემოკრატიულ პარტიას საზოგადოდ, და მის ბელადებს—კერძოდ. სწერს:

„მოგზაურის“ წერილსა და ილიას მკვლელობის შორის რამდენიმე წელიწადი გავიდა. ნუ თუ ჭკვაში მყოფელ კაცს შეუძლია ამტკიცოს, რომ ოდესღაც „მოგზაურში“ დაბეჭდილი წერილი წელს წაიკითხა ვიღამაც და იმის გავლენით მკვლელობა ჩაიდინა?“ პირველ წერილში ჩვენ საკმაოდ ნათლად და მკაფიოდ გამოთქვით ჩვენი ბრალდება და ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ „მოგზაურსა“ და ძმათა მისთა ის კი არ ედებათ ბრალად, ვითომ ვიღაცეებს ჩააგონეს, ილია მოსაკლავიაო, არამედ ის, რომ განუწყვეტელ აგიტაციითა, პროპაგანდით და საზიზღარ ჭორების გავრცელებით ისეთი ფსიხიური ატმოსფერა შექმნეს სოც.-დემოკრატიულ ბანაკში, რომ ამ პარტიამ ილიას მოკვლა სარევოლიუციო აქტად მიიღო. რაც, მგონი, უკვე დამტკიცებულია. მაგრამ ნ. ჟ—ია აქაც ამტკიცებს, რომ „ეს საბუთიც ერთიანად რუსეთის შავრაზმელებისაგან არის ნასესხები“ და ამის დასამტკიცებლად ხმარობს იმავე ანალოგიის მეთოდს, რომელსაც ზემოდ უკვე დავსდეთ შესაფერი ფასი. მას მოჰყავს ანალოგია, მაგრამ როგორი! ამ ანალოგიით ჭავჭავაძესა და განთქმულ ლუჟენოვსკის ერთი ფასი ედებათ. ორი წლის წინად კოროლენკომ გამოამჟღავნა ერთ დამსჯელ რაზმის უფროსის ლუჟენოვსკის საარაკო მხეცობა და სისასტიკე. მან აიკლო რამდენიმე სოფელი და ამასთან ისეთი სისასტიკე გამოიჩინა, რომ მალიუტა სკურატოვსაც კი გადააჭარბა. ეს ამბავი მოხდა საქვეყნოდ, ყველას თვალწინ და რამდენიმე აკლებული სოფელი იყო ცხადი საბუთი ლუჟენოვსკის სიმხეცისა. ცოტა ხნის შემდეგ ლუჟენოვსკი მოჰკლეს. რეაქციონურმა პრესამ კოროლენკოს მოახვია ეს მკვლელობა. ამ შემთხვევას ნ. ჟ—ია უპირდაპირებს ილიას მოკვლის ამბავს და ამით სურს დაამტკიცოს, რომ ფ. მახარაძესაც ისეთივე უფლება ჰქონდა დაეძახა ილიასთვის „ჯაშუში“ და „უსასტიკესი მემამულე“, როგორიც ჰქონდა კოროლენკოს გამოემჟღავნებინა ლუჟენოვსკის სიმხეცე. თუ მოგზაური გავამტყუნეთ, „მაშინ ხომ გაუქმდა პრესის თავისუფლება, ვინაიდან კერძო პირების შესახებ წერა ყოვლად შეუძლებელი ხდება და ასე, ბოროტმოქმედება და ტირანია აულაგმავი რჩება“. აქ ავტორი თვითონვე გრძნობს ჩვენს პასუხს და წინდაწინვე გვიპასუხებს: „ან შეიძლება „ისარს“ ჰგონია (რომ) არიან ისეთი უპირატესნი, რომელთა მხილება მწერლობაში არ შეიძლება? ის ალბად ასე ფიქრობს, მარა დემოკრატიისთვის ეს არ არსებობს. პირიქით, ვისაც მეტი აქვს—მეტი მოეთხოვება. ცნობილ პირებზე და მათ მოღვაწეობაზე ყოველგან სწერენ, მათ თითოეულ შეცდომას ნუსხავენ“. დააკვირდით ამ სტრიქონებს, გასინჯეთ ამ აზრის შინაარსი და დაინახავთ თავაშვებულ „ბოსიაკის“ აზროვნებას, რომელსაც წინ ვერ დაუდგება ვერც ზნეობრივი ღობე, ვერც გრძნობა ვინმესადმი პატივისცემისა და ვერც ვერავითარი მორალური ნორმა. მისი აზრით, ქვეყანაზედ არსებობს მხოლოდ მთავრობის ცენზურა; მას ვერ წარმოუდგენია, რომ ადამიანი თვითონ უნდა იყვეს საკუთარი ცენზორი და ვერც ის გაუგია, რომ ყოველ ერს ჰყავს ორიოდე ისეთი მოღვაწე, რომელზედაც არ შეიძლება ყველა იმის დაწერა, რაც კი ენაზე მოადგება ვიგინდარა ავადმყოფს. „ცნობილ პირებზე და მათ მოღვაწეობაზე ყოველგან სწერენ, მათ თითოეულ შეცდომას ნუსხავენო“, მაგრამ ეს ცხადი სიყალბეა: ალბად ყველას ეხსომება, რომ ორიოდე კვირის წინად მოსკოველ გაზეთმა „უტრომ“ უსაყვედურა ტოლსტოის, რომ მან მთელი თავისი მამული ცოლ-შვილს გადასცა, რა არის თხოვნებით აღარ შემაწუხონო. მერე იცით, რა აყალ-მაყალი, რა ალიაქოთი და აურ-ზაური ასტეხა რუსეთის ჟურნალ-გაზეთობამ, განურჩევლად მიმართულებისა? მერე იცით ყველაზე მაგრა ვინ დაიყვირა, ტოლსტოი ხელუხლებელიაო? „ტოვარიშჩა“, სადაც მგონი მარქსისტებიც თანამშრომლობენ. „უტრომ“ ბოდიში მოიხადა, ჩვენი სიტყვები თქვენ სხვანაირად გაიგეთო. რას იტყვიან ამაზე ნ. ჟ—ია და მისი თანამოაზრენი? ესეც „ცენზურის აღდგენაა?“ ესეც „უბრალო რეაქციონური ჩმახვაა“? მაგრამ რას ჩავაცივდით ნ. ჟ—იას! მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო, ამბობს ქართული ანდაზა და იგი ზედ გამოჭრილია ამ შემთხვევაზე. რა უნდა მოვთხოვოთ უბრალო „სალდათებსა“ და „შეგირდებს“—ნ. ჟ—იას, ფ. მახარაძესა და იმათ დამქაშებს, როცა მათი „გენიალური მასწავლებელი“ მარქსიც ასეთი აზრისა იყო. მან ისარგებლა პრესის თავისუფლებით და გამოაცხადა, ბაკუნინი რუსეთის მთავრობის ჯაშუშიაო. მისმა წიწილებმაც სავსებით შეითვისეს „მასწავლებლის“ ხერხი, საქართველოში გადმოიტანეს, ამოეფარნენ პრესის თავისუფლებას და პირველად ილიაზე იხმარეს იგი. ხერხმა გასჭრა: გულუბრყვილოებმა და საკუთარ გონებას მოკლებულებმაც დაიჯერეს, ვითომ ილია შავრაზმელი, რეაქციონერი და უსასტიკესი მემამულე იყო და მისი მოკვლა რევოლიუციონურ აქტად მიიღეს. ჰოი საბრალო და უგუნურო ბრბოვ! ჯერ კიდევ არ გა-

**ხამარკანდი.** 10 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სადგურის მახლობლად მოჰკლეს ბოქაული ვიშენსკი. მიზეზად ასახელებენ პოლიტიკურ ნიადაგზე შურის ძიებას.

**გადოგა.** სამაზრო საერობო კრებამ აირჩია გამგეობაში ისევ ძველი მემარჯვენეები. საგუბერნიო ხმოსნებად აირჩიეს: თავ. ევგენი ტრუბეცკოი—მშვიდობიან განახლების პარტიისა, ბანკის წევრი-დამფასებელი პოლტარაცკი, ერობის უფროსად ნამყოფი ჟელიბუჟსკი, ტარუსის მარშალი შუმოვსკი და 1 გლეხი.

**ნიკოლაევსკი.** მიწის მომწესრიგებელ კომისიამ დაადგინა, შეიძინოს 4200 დესეტინა ხუტორებად დასანაწილებელი ადგილი.

**პოლტავა.** ლოხვიცკის მაზრაში სოფ. იუკოვცში დაბრუნდა სამი გლეხი ციმბირიდან გამოქცეული. იმათ შური იძიეს ციმბირში გადასახლებისათვის და სოფელს ექვს ალაგას ცეცხლი მისცეს და 21 ოჯახი სარჩო-საბადებლიანა გაანადგურეს.

**ფეოდოსია.** ოსმალოს ფურნეში ოთხი კაცი შეიჭრა და ფული მოითხოვა. ოსმალომ უარი უთხრა. ოსმალო მოჰკლეს.

**ვარშავა.** ჩენსტოხოვოში ვიღაც უცნობმა ესროლა ბოქაულს ტატაროვს. ბოქაული გამოუდგა, ესროლა და მოჰკლა.

ლიბლიანის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშად გამოაცხადეს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, მაზრაში ავად გახდა 1.

**უმანი.** სამოს. პალატამ მიუსაჯა მამასახლისს და 9 გლეხს პატიმართა გამასწორებელი განყოფილება 1—$2^1/_2$ წლამდე, მაგრამ დაადგინა ეთხოვოს ხელმწიფეს სასჯელის შემსუბუქება. მამასახლისს და გლეხებს თავიანთ სოფლელის ქურდის წამებას აბრალებდნენ.

**ხარაქოვი.** ბალაშოვის მაზრის სოფ. პესჩანკაში გლეხებმა მოჰკლეს პუშკარსკი, რუსთა კავშირის წევრი, რადგან მან ერთი ყმაწვილი დასჭრა. ყმაწვილკაცობა თურმე დასცინოდა პუშკარსკის.

**ვლადივოსტოკი.** ტოკიოდან იუწყებიან, რომ დაადგინეს დანცელის და იმის თანამოაზრის იურიევის ქალის გაცემაღ. იმათ ხაბაროვსკის ფოსტიდან 118,000 მანეთი მოიპარეს. მათ უნახეს მხოლოდ 66,000 მანეთი.

**ტულა.** ვენევის მაზრაში ერობის გამგეობის წევრებად აირჩიეს მემარჯვენენი. ეპიფანსკის მაზრაში თავმჯდომარედ აირჩიეს კადეტი. წევრებად ერთი მემარჯვენე, ორი კადეტი, საგუბერნიო ხმოსნებად აირჩიეს 5 კადეტი.

**ხემიპალატინსკი.** ქალაქში ხოლერით გარდაიცვალა 1.

**ტროიცკი.** კირგიზთა შორის ხოლერამ თავი იჩინა. ჯერ-ჯეროზით გარდაიცვალა 5 კაცი.

**ჟიტომირი.** ოვრუჩის მაზრის სოფ. ობიხოდაში ხოლერით გარდაიცვალა ერთი კაცი.

**არხანგელსკი.** გრაჩოვი, გოროხოვი და ზოტოვი სასამართლომ გაამართლა. იმათ აბრალებდნენ (1905 წ.) პირვატ-დოცენტის გოლშტეინის მოკვლას.

**მიტავა.** სამხედრო სასამართლომ 20 კაცს კატორგა და საპატიმრო მიუსაჯა სხვა და სხვა ვადით; 10 კაცი გაამართლა. იმათ ჰბრალდებოდათ ბორონგანის მამულის ლატიშთა საკუთრებად გამოცხადება და ჯარის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლა.

**ანხაბადი.** ჩარჯუიში რევოლვერით მოჰკლეს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი როტმისტრი ეგუნოვი.

**კურსკი.** სუჯინის მაზრის სოფ. ილეკაში ხოლერით ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, რილსკში გარდაიცვალა კიევიდან მოსული ერთი მუშა.

**კიევი.** ქალაქში ხოლერით ავად გახდა 36 კაცი, გარდაიცვალა 14, გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 4.

**მოგილიოვი.** გომელში ავად გახდა 3 კაცი.

**მოსკოვი.** კოლომენის მაზრაში ხოლერამ ხელ-ახლა იჩინა თავი, ავად გახდა 15, გარდაიცვალა 10.

**უმანი.** გოლტში ავად გახდა 3 კაცი.

**რიაზანი.** სენის გაჩენიდან ავად გახდა 15 კაცი, გარდაიცვალა 13.

**ეკატერინოსლავი.** ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2.

**პოლტავა.** ავად გახდა 1.

**კრემენჩუგი.** ავად გახდა ერთი ტუსაღი.

**ხემიპალატინსკი.** პავლოგრადში გემიდან ჩამოიყვანეს 2 ავადმყოფი.

**ტომსკი.** ავად გახდა 5, გარდაიცვალა 4, ნოვონიკოლაევკაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

**კუნგური.** შემოწმების დროს ერთმა ტუსაღმა საპატიმროს უფროსი მძიმედ დასჭრა.

### ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.

**პეტერბურგი.** უნდა აერჩიათ 5160 ამომრჩეველი. 11 ოქტომბრამდე შიდა რუსეთის 51 გუბერნიაში აურჩევიათ 4916 კაცი: 72 რუსთა კავშირის წევრი, 2 რუსთა განაპირა კავშირის წევრები, 1 რუსთა კრებისა, 60 ბესარაბიის ცენტრის პარტიისა, 1 წეს-რიგის პარტიისა, 20 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 566 ოქტომბრისტი, 21 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 1 დემოკრატიული რეფორმისა, 47 კადეტების თანა-მოაზრე, 437 კადეტი, 11 შრომის ჯგუფი, 1 გლეხთა კავშირის წევრი, 5 საგლეხო სოციალისტი, 88 ს.-დემოკრატი, 22 ს.-რევოლიუციონერი, 6 ებრაელთა უფლებათა გათანასწორების წევრი, 2 სიონისტი, 83 ბალტიის კონსტიტუციონურმონარქიულ პარტიისა, 7 ესტონელთა სახალხო პროგრესისტულ პარტიისა, 3 ლატიშელი რეფორმისტი, 1 ლატიშთა კონსტიტუციონალისტი, 17 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 47 ნაციონალისტი, 10 ნაროდოვცი, 2 პოლონელთა კოლო, 6 პოლონელთა მემარცხენე პარტია, 2 კონსტიტუციონურკათოლიკეთა პარტია, 2 ლიტველთა ოლქური პარტია, 10 თავისს თავის უკიდურეს მემარცხენედ მაღიარებელი, 490 მონარქისტი, 1490 მემარჯვენე, 232 ზომიერი, 7 კონსერვატორი, 23 უკიდურესი მემარცხენე, 362 მემარცხენე, 156 პროგრესისტი, 525 უპარტიო, 110 უცნობი. ასარჩევია 244 ამომრჩეველი.

პოლონეთის 10 გუბერნიაში უნდა აერჩიათ სულ 661 ამომრჩეველი. 12 ოქტომბრამდე აურჩევიათ 646 კაცი. 3 რეალურპოლიტიკის წევრი, 8 უგოდოვცი, 1 პოსტეპენცი, 428 ნაროდოვცი, 4 ავტონომისტი, 8 ნაციონალისტი, 12 ლიტველი ნაციონალისტი, 9 ნაციონალისტ-დემოკრატი, 1 დემოკრატი, 1 შრომის ჯგუფისა, 1 ბუნდისტი, 2 სოცალისტი, 14 სოციალდემოკრატი, 1 თავისს თავის მონარქისტების მომხრედ მაღიარებელი, 1 ზომიერი, 2 ზომიერი კონსტიტუციონისტი, 14 პროგრესისტი, 6 მემარცხენე, 121 უპარტიო, 9 უცნობი. ასარჩევია კიდევ 15 ამომრჩეველი.

### უ ც ხ ო ე თ შ ი.
12 ოქტომბერი.

**ნიუ-იორკი.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ხაზინის სეკრეტარმა კორტელიუმ გადასდო ათი მილიონი დოლლარი ადგილობრივ ბანკების საჭიროებისათვის. ადგილობრივ კომპანიების თავმჯდომარენი (ვინც ტრესტს ეკუთვნის) შეიკრიბებიან 11 ოქტომბერს კერძო კომიტეტის 5 წევრის ასარჩევად. ამ კომიტეტს ძიანდობენ კომპანიების საქმეთა განხილვას და მათთვის შემწეობის აღმოჩენას. ცნობილი მილიონერი მორგანი კომიტეტის შრომაში მხურვალე მონაწილეობის მიღებას აპირებს თურმე.

**რომი.** მონტე-ლეონსა, პიცცოსა, პროპეასა, მესინასა და რეჯიო—დი-კალაბრიაში 10 ოქტომბერს ღამე მიწა იძრა. ხალხი ძლიერ დაფრთხა. უბედურობა არა მომხდარა-რა.

**კატანცარო.** 10 ოქტომბერს ძლიერი მიწის ძვრა იყო.

**რომი.** ბოლო დროს საზღვარ-გარედ ბევრს სადგურზე უარს აცხადებდნენ იტალიაში გასაგზავნ საქონლის მიღებაზე. სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობამ ამ ამბის შეტყობისათანავე წერილობით მიმართა ყველა დაინტერესებულ დაწესებულებას, ზომები მიიღონ, რომ იტალიაში გასაგზავნ საქონლის მიღება სადგურებზე მოაწესრიგონ, რადგან იტალიაში მატარებლების წესიერი მიმოსვლა უკვე აღდგენილიაო.

**ხამარისქამნი.** გემს «ლიტიცნიას» კოპენჰაგენიდამ მომავალა გემი „ნიკოლოზ მეორე", მგზავრებს კოპენჰაგენში მიიყვანენ და იქიდან ნიუ-იორკში გაჰგზავნიან. 1200 ტონნა ტვირთს, ნახშირს და რკინას წყალში ჰყრიან.

**რეჯიო.** 10 ოქტომბერს ბიანკა-ლეონეში მიწის ძვრის დროს ბევრი სახლი დაინგრა. ნანგრევ ქვამ ბევრი კაცი მოჰყვა. დაბა ფერრუცანო სრულებით დაინგრა. დაიღუპა 200 კაცი, დაღუპულთა გამოსათხრელად ჯარი გაჰგზავნეს, ხოლო დაჭრილთათვის ექიმები.

**რომი.** მიწის ძვრამ კალაბრიაში დიდი უბედურება დაატრიალა. მინისტრთა საბჭომ ფინანსთა მინისტრს მიანდო, შემწეობა აღმოუჩინოს დაზარალებულთ.

**პარიჟი.** პალატა შეუდგა ერთის კანონპროექტის განხილვას, რომელიც მიმართულია ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების დადგენილებათა შეცვლისადმი. ამ კანონ-პროექტით საეკლესიო ქონების გამგეობის წეს-რიგიც უნდა შეიცვალოს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა დეპუტატმა მარკოვმა სიტყვა დაიწყო რუსულად. რუსინის დეპუტატებმა წინააღმდეგობა განაცხადეს. ჩეხი რადიკალები პროტესტის წინააღმდეგნი იყვნენ. მოხდა აურ-ზაური, რომელიც მოისპო მხოლოდ მაშინ, როცა მარკოვი რუსულიდან გერმანულ ენაზე გადავიდა.

**ნიუ-იორკი.** კორტელიუს მოლაპარაკება ჰქონდა ცნობილ ფინანსისტებთან. შემდეგ გამოაცხადა, რომ გუშინდელი შიში სულ უალაგო იყო, რის დასამტკიცებელიც ის ფაქტია, რომ მდიდარდა ერთმა ჯგუფმა კრედიტს დიდი დახმარება გაუწიაო. ბანკებისადმი ნდობის დასამტკიცებლად კორტელიუმ აღნიშნა, რომ ნიუ-იორკის ხაზინაში 25 მილიონი დოლარი უკვე შეტანილია და ბანკების მდგომარეობა გამაგრებულიაო.

**პარიჟი.** ტულონში დააპატიმრეს მიჰმანი ულმო. დაპატიმრებას კავშირი აქვს საზღვაო მინისტრის ტომსონის მიერ მოხდენილ გამოძიებასთან, რომელიც გამოიწვია უსახელო წერილმა. ამ წერილში ტომსონს 150,000 ფრანკად ჰპირდებოდნენ საიდუმლო ფოტოგრაფიულ სურათებს და ფრიად საჭირო დოკუმენტებს.

**ხალონიკი.** საელჩოებში მიღებულ ცნობით, ბოლგართა ბრბოს გადაუწვავს ბერძნების სოფელი რაკოვო, რომელიც მონასტრიდან სამხრეთით მდებარეობს. 200 სახლიდან გადარჩენილა 8. ჯერ-ჯერობით უნახავთ 5 დამწვარი კაცის გვამი.

**თეირანი,** შაჰის თავმჯდომარეობით მოხდა მინისტრთა და წარჩინებულთა თათბირი შინაგან საქმეთა მინისტრის ასარჩევად, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. ნასრ-ოლ-მულკმა გადაჭრილი უარი სთქვა ამ თანამდებობის მიღებაზე. იგი ისევ ფინანსთა მინისტრად დარჩება.

სასაზღვრო კომისია 14 ოქტომბერს მიდის ურმიაში.

იზამე-სულთანე შირაზიდან თითქმის გავიდა, მაგრამ შაჰის ბრძანებით ისევ დაბრუნდა. კერმანში ჯერაც არ დაუნიშნავთ გუბერნატორი, არეულობა იქაც და სხვაგანაც გრძელდება.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ მიჩმანს ულმოს მოუპარავს, სხვათა შორის, სიგნილის კოდექსი და საიდუმლო კორესპონდენციის შრიფტი.

---

სულა ის დრო, როცა რამდენიმე მოხერხებული დემაგოგი შენივე ხელით გაცხებინებს ჩირქს, შენივე ხელით გსვრის ტალახში, საქვეყნოდ გჭრის თავს, გარცხვენს და სხვას მასხარად გხდის! მაგრამ რას გვიშველის ეხლა თითზე კბენანი და ლირიკული გოდება: ასე იყო მუდამ, ასე არის ეხლაც და ასევე იქნება კიდევ დიდხანს.

მაშ ასე, ბ-ნო ვექილო, არავითარი ზნეობრივი მოვალეობა არ ელობება წინ პრესის თავისუფლებას. ვთქვათ, ერთი წუთით მაინც დავეთანხმოთ ასეთ ბარბაროსულსა და ველურ თეორიას. ეხლა ვკითხოთ მის ავტორს, ჩვენც გვეძლევა თუ არა უფლება ავიხსნათ ეს ზნეობრივი ცენზურის ბორკილი, რომელსაც ვერ ურიგდებიან ნ. ჟ—ია და მისი ბანაკი? რასაკვირველია, გვაქვს, ვინაიდგან ჯერ არ ღამდგარა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელმაც შარშანწინდელ დეკემბრის საერთო გაფიცვის დროს ხელფეხი შეგვიბოჭა ფიზიკურ ბორკილით და წაგვართვა არა თუ აბსოლიუტური თავისუფლება პრესისა, არამედ ხმის ამოღების ნებაც არ მოგვცა? მაშ თუ ჩვენც გვაქვს ასეთი უფლება, შეგვიძლიან თუ არა დავწეროთ და საქვეყნოდ გამოვაცხადოთ, რომ... თუნდ, მაგალითად ის, რომ ამა და ამ სოც. დემოკრატმა „ერთი მანეთი მოიპარა" (ეს მაგალითი ქავჭავაძეს ეკუთვნის), ან ამადაამ ქალთან იცხოვრა, ცოლად შერთვის პირობა მისცა, მაგრამ არ შეირთო, გააუბედურა, მისი ფულიც თან გაიყოლა და გაიქცა. იტყვით, მაგას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვსო. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ზნეობრივი მოვლენა ფულზე გადავიტანე და ასე ვიანგარიშე: ქავჭავაძემ გლეხებს ზედმეტი 1000 მანეთი გადაახდევინა. განა მან ამით ზემოხსენებულ ს.-დემოკრატზე მეტი ცოდვა ჩაიდინა? აქ კამათიც მეტია: ნ. ჟ—ის თეორიით ჩვენ სრული უფლება გვეძლევა ეს ამბავი საქვეყნოდ გამოვიტანოთ და „ავლაგმოთ ბოროტ-მოქმედება და ტირანია", მაგრამ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ნ. ჟ—ია, ფ. მახარაძე და ძმანი მათნი ამასაც ხელზე დაიხვევენ და შავრაზმობაში ჩამოგვართმევენ. აი სად შევხვდით ერთმანეთს ჩვენ და ნ. ჟ—ია. ჩვენ ვიპოვეთ ერთი წერტილი, რომელმაც შეგვაერთა და დაგვანახვა, რომ ნ. ჟ—იასაც სწამს პრესის თავისუფლებაში ზნეობრივი ტორმაზი, მაგრამ (აი სად არის დამარხული ძაღლის თავი!) ის მაგრა უჭერს ამ ტორმაზს მაშინ, როცა პრესა აპირებს პაწაწა პიროვნების ან სოც.-დემოკრატის საქციელის გამომჟღავნებას, და მთლად უშვებს იმავე ტორმაზს მაშინ, როცა პრესა, ე. ი. „მოგზაური" ქავჭავაძესკენ ილაშქრებს. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ყველამ ვიცით. ს.-დემოკრატიამ მთელი თავისი ენერგია ორად გაჰყო: ერთი ნახევარი დახარჯა თვითმპყრობელობის დამხობაზე. მეორე ნახევარი კი ქართველ ხალხის გულიდან ეროვნულ შეგნების ამოფხვრაზე. იმათ კარგად ესმოდათ, რომ ქავჭავაძე ჩვენში უძლიერესი ბურჯი იყო ეროვნულ იდეისა, ამიტომ საჭირო იყო მისი გამოცლა და გაბათილება. ამ მუშაობამ რამდენიმე წლიწადი გასტანა და ს.-დ—ისათვის კეთილად დასრულდა: აგერ რამდენი წელიწადია, რაც ქავჭავაძე ჩამოეცალა მათ გზიდან. აი ეს იყო უმთავრესი მიზანი ს.-დემოკრატებისა.

აი ეხლა კი ზედ მივადექით იმ ხრამს, რომელიც გვაშორებს ერთმანეთს ჩვენ და ს.-დემოკრატებს. ჩვენ გვწამს მორალი და ზნეობრივი ტორმაზი, ამიტომ ს.-დემოკრატებთან კამათისა და ბრძოლის დროს ჩვენ ხელ-ფეხს ვიბოჭავთ ზნეობრივ ცენზურით, ისინი კი აღიარებენ აბსოლიუტურ თავისუფლებას (პრაქტიკაში და არა თეორიაში) და სწერენ ყველაფერს, რაც კი ენაზე მოადგებათ და რაც ფრჩხილის ოდენა სარგებლობას მაინც მოუტანს მათ პარტიას: ქორიკანობენ, ცრუობენ, ცილს სწამებენ, ორგულობენ და ორპირობენ. ოღონდ პარტია გაიზარდოს, ოღონდ მოპირდაპირე დამცირდეს, ოღონდ მათმა სახელმა ხალხის თვალში ერთი გოჯით მაინც აიწიოს მაღლა და, ბებლისა არ იყოს, ეშმაკსაც კი დაუმეგობრდებიან. ასეთი დიდი მანძილია ჩვენისა და სოც.-დემ—ის მორალის შორის.

ჩვენი მორალის შესახებ ნ. ჟ—ია სწერს: მათი „მორალის მიღება პრესის დაცემაა". პატარა შეცდომა მოგივიდათ, ბ-ნო პარტიის ვექილო: ჩვენი მორალის მიღება ნიშნავს ქორიკანობისა, ცილისწამებისა, უზნეობისა და აღვირწახსნილ თავხედობის დაცემას და პრესის ამაღლებას, გაკეთილ-შობილებას, გაფაქიზებას და სამწუხარო ასპარეზიდან სალახანა მიკიტნების განდევნას.

გავათავოთ. მაგრამ ჯერ მოვისმინოთ ნ. ჟ—ის საგიტაციო და დემაგოგიურ წერილის დასკვნა: „ამიერიდან ბანაკები ჩამოყალიბებულია: ერთი მხრით დგას ყველა გაბატონებული კლასი და ყველა პარტია ფედერალისტების მეთაურობით, მეორე მხრით კი—ერთად-ერთი სოციალდემოკრატია".

ეხლა კი ვგრძნობ, რომ ვერ გავაპტყუნებ იმ უმეცარ ბიჭ-ბუჭკასა და გადაგვარებულ კრეტინებს, რომელნიც წამდაუწუმ გაიძახიან: ფედერალისტებს ბატონ-ყმობის აღდგენა და ტახტზე თავიანთი მეფის აყვანა უნდათო. ამის შემდეგ მოდი და ნუ იტყვი: მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო.

გ. ბდ—ძი.

---

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს:** 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს:** 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.).

**ბორჯომს:** 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან:** 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

**გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1907 წ. 20 ოქტომბერს ნაშუადღევის 1 საათზედ ქალაქის გამგეობის შენობაში მოხდება ვაჭრობა და იჯარით გაცემა მაწანწალა ძაღლების დაჭერისა, დახოცილ საქონლის აკრეფისა ქალაქის ქუჩებიდან და ძაღლებზე არსებულ გადასახადის შეგროვებისა. პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში 10 საათიდან 2 საათამდე, კვირა უქმე დღეების გარდა. (3—5—1)

---

მასწავლებელთა

**საყურადღებოთ!**

ქართული წერის დედანი

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.
ამ დედანთან სახმარებელი
რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.

„არითმეთიკული კრებული"

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.
„მეორე ნაწ. კრებულისა" (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—8)

---

**თავდებ ბეჭდვით**

ახალი, მეთექვსმეტე გამოცემა „**ბუნების კარისა**", ბევრად შევსებული: გადიდებულია სალიტერატურო ნაწილი და ახლად ჩართულია ისტორიული განყოფილება. ახალს შინაარსს უჭირავს ას (100) გვერდამდის. დაკაზმით ფასად იქნება 15 ღვინობისთვისათვის. (6—343—5)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში

იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. «**ამბოხება გაზეთისა**», 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. «**საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია**», ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. «**ქართლის ცხოვრება**», მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. «**საბერძნეთის ძველი ისტორია**». ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. «**რომაელების ძველი ისტორია**», თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. «**ფიზიკური გეოგრაფია**», ს. იაშვალისა . . . . . . . . . . 20 კ.
7. «**მასალები საქართველოს ისტორიისათვის**», . . . . . . . . . 1 მ.
8. «**საქართველოს ისტორია**», მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . 1 მ.
9. «**მთიულეთი**», (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. «**ცისარტყელა**», სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменіи», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

---

გამოვიდა და იყიდება

ა რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს

პირველ-დაწყებითი ქართული

**გ რ ა მ მ ა ტ ი კ ა**

ფასი 40 კაპეიკი.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამომცემელს: Въ г. Тифлисъ. „Кавказская книжная торговля", Захарія Грикурова. იმავე მაღაზიაში იყიდება:

1. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ყველა წიგნები.

აგრეთვე იყიდება ჩვენ მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| 2. | გ. იოსელიანისა—„სამღრთო ისტორია", 33 სურათით. | 40 კაპ. |
| 3. | „ „ „ლოცვანი". | 20 კაპ. |
| 4. | ა. ნატროშვილისა—„სახელმძღვანელო სამღრთო სჯულისა" ნაწილი I. | 15 კაპ. |
| 5. | „ „ ნაწილი II. | 25 კაპ. |
| 6. | „ათას ერთი ღამე", თარგმანი ჯანაშვილისა, 5 სურათით | 40 კაპ. |
| 7. | „რეინიკე კუდა-მელა", თარგმანი გ. იოსელიანისა, 10 სურათით | 50 კაპ. |

ზემოხ ენებულ წიგნებს ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 20%. გზის ხარჯი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. (4—35—4)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.